

შედარება სხვა მასალებთან:

მასალა	მტკიცე	უფორებო	უშოვო შეწეპება	თერმო - პლასტიური	ფერთა პალიტრა	აღდგენადი
ლამინატი	კი	კი	არა	არა	კი	არა
გრანიტი	კი	არა	არა	არა	კი/არა	არა
მარმალისლო	კი	არა	არა	არა	კი/არა	არა
CORIAN®	კი	კი	კი	კი	კი	კი
MONTELLI-ULTRA®	კი	კი	კი	კი	კი/არა	კი
MONTELLI-BASIC®	კი	კი	კი	არა	კი/არა	კი
უჟანგავი ლითონი	კი	კი	არა	არა	არა	არა
კერამიკის ფილა	კი	კი	არა	არა	კი	არა

1. თბო-ფორმირებადი: **Corian®**-ის, სპეციალური ტექნოლოგიით, განსაზღვრულ ტემპერატურაზე (160<sup>0</sup>-165<sup>0</sup>) გაცხელებით შესაძლებელია ნებისმიერი ფორმის მიღება;
2. უხილავად შეწებებადი: **Corian®**-ის ცალკეული ნაწილები შეიძლება შეერთდეს უხილავად, რაც ქმნის ზედაპირის დიზაინის შეუზღუდავ შესაძლებლობებს. მრუდების, ქვის მასიური ეფექტების და ვრცელი ზედაპირების მიღება შესაძლებელია უხილავი შემტკიცებებით;
3. ჰიგიენური: **Corian®**-ი წარმოადგენს მასალას ზედაპირული ფორმების გარეშე. ის არის მყარი მთელ სისქეზე, გაერთიანებული უხილავი ნაკერებით. რაც უზრუნველყოფს ზედაპირის მაღალ ჰიგიენურობას. ხელს უშლის ბაქტერიის ან ობის გაჩენას. **Corian®**-ი სერთიფიცირებულია როგორც ჰიგიენური მასალა საერთაშორისო სტანდარტის **DIN EN ISO 846** - ის მიხედვით. მას გამოიყენებენ ყველგან სადაც სისუფთავეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (მაგ: საოპერაციოები);
4. აღდგენადი: **Corian®**-ის ზედაპირი არის განახლებადი, რაც ნიშნავს, რომ ის შეიძლება ადვილად აღდგეს და გაიწმინდოს საწმენდი საშუალებებით. სიგარეტის ნამწვავები, ნაკაწრები თუ არასწორი მოპყრებით მიყენებული ზიანი (ქვის, ხის ან სხვა მასალისაგან განსხვავებით) აღდგენადია მთლიანი ჩანაცვლების გარეშე;
5. მრავალფეროვანი: **Corian®**-ის 100 ფერი ქმნის შეუზღუდავ პალიტრას. შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი ნეიტრალური ფონი ან შექმნათ თვალის მომჭრელ ფერთა ჰარმონია. ის გამოიყენება შიდა შრეების, აქცენტების ან კომპონენტების სახით ხის, ლითონის, ქვის ან სხვა მასალის შესავსებადაც;
6. შუქგამტარი: განსაკუთრებით მიმზიდველია **Corian®**-ის სინათლის გამტარუნარიანი პალიტრის მაღალი ხარისხი. ბევრი დიზაინერი იყენებს ამ მასალას განათების ეფექტების შესაქმნელად. ილუმინაციის სერიის ფერთა ოჯახი წარმოდგენილია 6 ფერით;
7. არატოქსიკური: **Corian®**-ი არის ინერტული და არატოქსიკური მასალა. ნორმალურ ტემპერატურაზე ის არ გამოყოფს აირებს. დაწვის შემთხვევაში გამოყოფს ნახშიროჟანგს და კვამლს, რომელიც ადვილად ჩანს სინათლეზე და არ შეიცავს ტოქსიკურ ჰალოგენირებულ ნივთიერებას;
8. გამძლე: 1967 წლიდან დღემდე, **DuPont™**-მა დაამტკიცა, რომ მისი პროდუქცია არის გამძლე და ყოფა-ცხოვრებისათვის მოსახერხებელი. **Corian®**-ი მდგრადია დარტყმების, ჩხველეთების და გაჭრების მიმართ. ფერები და ფაქტურები ვრცელდება მასალის მთელ სიღრმეში და არ ცვდება. **Corian®**-ი არის მყარი ნივთიერება და არ იხრწნება;